

## კომუნიკაცია

თქვენი ბავშვის ტიტინი სულ უფრო და უფრო ემსგავსება ლაპარაკს. ის ამბობს „დედა“ და მართლაც დედას გულისხმობს. ის ასევე სწავლობს საგნების სახელებს. მან შეიძლება თქვას „არა“, როდესაც რაიმე არ მოსწონს. რადგანაც ის ძირითადად სიარულის სწავლით არის დაკავებული, მისი მეტყველების განვითარების ტემპი შესაძლოა ოდნავ შენელებული იყოს. მან სიტყვებთან ერთად შესაძლოა ხელით მინიშნებაც გამოიყენოს. იყენებს სხვა ისეთ ჟესტებს, რომლის მნიშვნელობაც თქვენ კარგად გესმით.

### ხმოვანი საგნების დამალვა

აჩვენეთ ბავშვს ორი სხვადასხვა საგანი, რომელიც ხმას გამოსცემს: ხმოვანი სათამაშო, გასაღები, ზარი ან ჩხარუნა. ცოტა ხნით მიეცით ბავშვს ეს ნივთები. შემდეგ კი დამალეთ ყუთის ან ტანსაცმლის ქვეშ და აახმაურეთ ერთ-ერთი სათამაშო. შემდეგ მოხსენით საფარი და ჰკითხეთ ბავშვს: „რომელი სათამაშოს ხმა იყო?“ ნახეთ, თუ გამოიცნობს.

### წყნარი პერიოდი

გაატარეთ დრო ბავშვთან ერთად წყნარ და ჩუმ ადგილას, სადაც არ იქნება არც მუსიკა და არც ტელევიზორი (მაგალითად სახლის გარეთ). ესაუბრეთ იმაზე, რასაც თქვენ აკეთებთ ან რასაც ბავშვი აკეთებს. ბავშვმა კარგად უნდა გაიგონოს თქვენი ხმა და დაინახოს თქვენი სახე, თუ როგორ წარმოთქვამთ სიტყვებს. ესაუბრეთ წყნარად და უთხარით, თუ როგორი განსაკუთრებულია ის თქვენთვის. როდესაც თქვენი პატარა რაიმეს იტყვის, წახალისეთ. ესაუბრეთ ერთმანეთს.

### რიტმული ტაში

როდესაც მუსიკას უსმენთ, დაანახეთ ბავშვს, როგორ უნდა რიტმში ტაშის დაკვრა და მოძრაობა. დაუკარით სხვადასხვა ჟანრის მუსიკა, როკი, ჰიპ-ჰოპი, პოპი, კლასიკა. მუსიკა ძალიან ხმამაღალი არ უნდა იყოს.

### ტელეფონზე მოსმენა

როდესაც თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი ტელეფონზე გირეკავთ, სთხოვეთ მას, ცოტა ხანი ესაუბროს ბავშვს. ბავშვი ჯერ პასუხს ვერ გასცემს, მაგრამ ყურმილში სხვისი ხმის მოსმენა ძალიან მოეწონება.

### დიდი საუბარი

როდესაც თქვენ სახლს ალაგებთ ან საჭმელს ამზადებთ, ესაუბრეთ პატარას ამის შესახებ. წახალისეთ, რომ მან ორსიტყვიანი წინადადება თქვას: „მომე ბურთი“ ან „აი წყალი“. ასეთი საუბრები ხელს უწყობს მეტყველების განვითარებას.

### პატარა მკითხველი

წაუკითხეთ თქვენს ბავშვს ყოველდღე. ჩაიხუტეთ და ისიამოვნეთ ამ განსაკუთრებული წუთებით. თითოთ უჩვენეთ ნახატებზე და დაასახელებთ, რაც არის გამოსახული. ხანდახან სთხოვეთ, მოძებნოს რაიმე წიგნში: „სად არის კატა? ოო, აქ ყოფილა“. დასაწყისში მას შეიძლება თქვენი დახმარება დასჭირდეს.

### დიდი დამხმარე

თქვენს პატარას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. მიეცით მარტივი მითითებები: „შეგიძლია ხელსახოცი მომაწოდო?“ ან „მისური მომაწოდე, თუ შეიძლება“. თავიდან შეიძლება დახმარება ან მინიშნება დასჭირდეს. უთხარით: „როგორ მეხმარები, დიდი მადლობა!“

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

## მსხვილი მოტორიკა

თქვენი ბავშვი ახლა უკვე საკმაოდ სწრაფად მოძრაობს მთელ სახლში. მას შეუძლია დამოუკიდებლად ფეხზე დგომა, ავეჯზე ყრდნობით ან დამოუკიდებლად სიარული. ის შესაძლოა ეცადოს კიბეზე ასვლასაც, ამიტომ თქვენი ყურადღება აუცილებელია. მას მოსწონს როდესაც რაიმეს აწვება ან მიათრევს და ის ამას ყოველდღე სულ უფრო და უფრო ძლიერად აკეთებს.

მოდი, სასეირნოდ წავიდეთ	თქვენს ბავშვს უყვარს სასეირნოდ წასვლა და სიახლეების გაცნობა. ესაუბრეთ ყველაფერზე, რასაც ხედავთ. მიეცით საშუალება, თვითონ მიაწვეს თავის ეტლს. მას ესიამოვნება სიძლიერის შეგრძნება - უკვე შეუძლია ასეთი დიდი რამეც კი დამოუკიდებლად ატაროს. თვალი არ მოაშორეთ, რომ უსაფრთხოდ ატარებდეს ამ ეტლს.
ნავით გასეირნება	დასვით თქვენი ბავშვი სპეციალურ საქანაო ცხენზე ან სკამზე, რომ მიიღოს ქანაობის გამოცდილება. ჩაისვით კალთაში და აქანავეთ წინ და უკან. იატაკზე დასვით თქვენს პირდაპირ. ხელები ჩაჭიდეთ და ნაზად მიაწეით წინ და უკან. ამ თამაშის დროს უმღერეთ რაიმე სიმღერა: „მე ვზივარ ნავში და მივდივარ სახლში“.
მოძრავი დღე	მიეცით თქვენს ბავშვს იმდენად დიდი ყუთი, რომ ფეხზე დამდგარს შეეძლოს მიაწვეს და ატაროს სახლში. აჩვენეთ, როგორ აწყობთ ამ ყუთში რამდენიმე სათამაშოს და პატარა ყუთებს. მიეცით საშუალება, თვითონ გაასრიალოს ოთახის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში. მას შეიძლება ამ ნივთების ამოყრა მოუნდეს, მაგრამ არაუშავს, აჩვენეთ როგორ უნდა ჩაალაგოს უკან ეს ნივთები.
ბურთით თამაში	თქვენს პატარას მოეწონება ბურთით თამაში. იატაკზე დაუჯექით პირისპირ და გაუგორეთ ბურთი. შეეცადეთ თვითონაც გამოგიგოროთ. როდესაც თვითონაც გაიმეორებს, დაუკარით ტაში. თუ ბურთი დიდია და რბილი, შეიძლება მოახერხოს გაგორებულის დაჭერაც.
თითზე მოკიდებული სეირნობა	ცოტა გაისეირნეთ ისე, რომ ბავშვს ხელი თქვენს თითზე ჰქონდეს მოკიდებული. მას თვითონ შეუძლია გადაწყვიტოს ხელი მოგკიდოთ თუ გაგიშვას. ესაუბრეთ ბავშვს ყველაფერზე, რასაც ხედავთ და სადაც მიდიხართ: „მოდი, იმ ყვავილთან მივიდეთ, მოდი, დერეფანში გავიდეთ. რა კარგია სეირნობა!“
ცეკვა	ჩართედ რაიმე მხიარული მუსიკა და აჩვენეთ თქვენს ბავშვს, როგორ უნდა იცეკვოს. იქნავეთ, იტრიალეთ, ტაში დაუკარით და აბაკუნეთ ფეხები ცეკვის დროს. მოსინჯეთ სხვადასხვა ტიპის მუსიკაზე ცეკვა. აფრიალეთ ყელსახვევები და ლენტები, აცეკვეთ ოჯახის სხვა წევრებიც. მოაწყვეთ ცეკვის საღამო.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

## ნატიფი მოტორიკა

თქვენი ბავშვი თითებს უფრო მოხერხებულად იყენებს. საჩვენებელ თითს იყენებს მისათითებლად, ცერთა და სხვა თითებით ადვილად იღებს ბურღულის პატარა მარცვლებს. შეუძლია დაიჭიროს ფერადი ფანქარი ან მარკერი და დაჯღაპნოს. შეუძლია ისეთი პატარა ნივთების აღება როგორცაა პატარა კუბი ან სხვა პატარა სათამაშო.

### მხატვარი

მიეცით ბავშვს ფერადი ფანქრები და დიდი ფურცელი დასახატად. მან შეიძლება მხოლოდ რამდენჯერმე გაუსვ-გამოუსვას, მაგრამ მაინც შეაქეთ: „შეხედე, რა მაგარი ნახატი გამოგივიდა!“ როდესაც დაამთავრებს, ფანქარი შეინახეთ. პატარამ ჯერ არ იცის, რომ ხატვა მხოლოდ ფურცელზე შეიძლება.

### ბურთის სროლა

ასწავლეთ თქვენს ბავშვს პატარა, რბილი ბურთის სროლა. შეგიძლიათ დაჭიმულნი ფურცლები ან ერთმანეთში ჩადებული წინდები გამოიყენოთ. დააყენეთ ერთ ადგილას და ასროლინეთ ბურთი. თავიდან შეიძლება ჩვენება დასჭირდეს: „ნახე, რა შორს გადავარდა ბურთი!“

### მუყაოს კონსტრუქციები

საკვებისთვის განკუთვნილი მუყაოს პატარა ყუთებისგან ააშენეთ კედელი და შემდეგ დაანგრით: „რა მაგარია, ყველას ჩამოყრა!“

### წებოვანი ლენტის

მიეცით თქვენს პატარას წებოვანი ლენტის რგოლი სათამაშოდ. მისთვის ეს ძალიან სახალისო იქნება და თან თითებისთვისაც კარგი ვარჯიშია.

### გაწურვა

ბანაობისას მიეცით ღრუბელი. აჩვენეთ, როგორ უნდა წყლის გამოწურვა. ათამაშეთ წყლის სხვა სათამაშოებთანაც. ეს ხომ მშვენიერი გასართობია!

### ჩაწყობა და გადმოყრა

მიეცით თქვენ ბავშვს პლასტმასის ჯამი ან ყუთი, ასევე კოვზები ან პატარა მანქანები (ისეთი, რომელიც უსაფრთხოა და ვერ გადაყლაპავს). აჩვენეთ, როგორ უნდა ჩააწყოს ნივთები ყუთში და შემდეგ ისევ გადმოყარეთ. მომდევნო დღეს შეცვალეთ ყუთი. მოგვიანებით გაართულეთ და უფრო ვიწროთავიანი ყუთი მიეცით.

### ბიბლიოთეკის დრო

დაახლოებით ყოველ 2 კვირაში ერთხელ გამოძებნეთ დრო ბიბლიოთეკაში ან წიგნების მაღაზიაში წასასვლელად. ერთად აარჩიეთ ახალი წიგნი. ყოველდღე ჩაიხუტეთ და ისე წაუკითხეთ წიგნი. წაუკითხეთ ან ესაუბრეთ სურათების შესახებ. მიეცით საშუალება, რომ თვითონ მიუთითოს სურათზე, დაიცვას მიმდევრობა და გადაფურცლოს. ეს განსაკუთრებული დროა!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

## პრობლემის გადაჭრა

თქვენ პატარა ძალიან აქტიური მკვლევარია. მას უყვარს სათამაშოებით თამაში. ის სწავლობს თავისი სხეულის ნაწილებს და თუ შეეკითხებით, შეუძლია სწორად გაჩვენოთ ერთ-ერთი მაინც. მას უყვარს წიგნები და აქვს თავისი საყვარელი ნახატი. ის ცდილობს გადაფურცლოს წიგნი. მოსწონს იმის გარკვევა თუ როგორია ესა თუ ის ნივთი.

### ყულაბის გავსება

გააკეთეთ ყულაბა რაიმე დიდი ყუთისგან. გაუკეთეთ სიგრძივი ნაპრალი. გამოჭერით რგოლები მუყაოსგან, რომელსაც ფულის მაგიერ გამოიყენებს და ასწავლეთ თუ როგორ უნდა ჩადოს ფულის მონეტა ყულაბაში.

### წყლით ხატვა

მიეცით თქვენ პატარას სუფთა სახატავი ფუნჯი და ერთი ვედრო სუფთა წყალი. მზიან დღეს გადით ეზოში და მიეცით საშუალება, რომ მან კედლები და ღობეები მოხატოს წყლიანი ფუნჯით. როდესაც გაშრება, ისევ დაახატინეთ. შემდეგ იგივე სცადეთ სახლშიც ყავისფერ ქაღალდის ყუთზე. ერთად დააკვირდით გაშრობას: “ნახე, ნახატი გაქრა!”

### პრობლემის გადაჭრა

აჩვენეთ ბავშვს, როგორ მუშაობს სხვადასხვა ნივთი. აჩვენეთ შუქის ჩართვა და გამორთვა. ყოველთვის აუხსენით, რასაც აკეთებთ და რატომ აკეთებთ: “აი, მე ქურთუკს ვიცვამ, იმიტომ რომ მცივა.”

### პატარა მონადირე

შესაფერის დროს სთხოვეთ თქვენს პატარას მოძებნოს თავისი საბანი ან გამოიტანოს წიგნი მეორე ოთახიდან. სთხოვეთ მოიტანოს ნივთები, რომლებიც იქვე არ დევს და ვერ ხედავს. შესაძლოა დახმარება დასჭირდეს, თუმცა როდესაც ამ დავალებას სწორად შეასრულებს, შეაქეთ: “მადლობა, რომ შენ ეს იპოვე.”

### დაწყვილება

ამ ასაკში ბავშვები უკვე ამჩნევენ, რომ ორი საგანი ერთმანეთს ჰგავს, განსაკუთრებით ფეხსაცმელები, წინდები და სხვა ნაცნობი ნივთები. აიღეთ ერთი ფეხსაცმელი ან წინდა და ჰკითხეთ: „სად არის მეორე ასეთი წინდა? ზუსტად ასეთი მომიძებნე“, მოეხმარეთ არჩევაში და უთხარით: „კი, ესენი ზუსტად ერთნაირებია.“

### მიბაძვა

ეთამაშეთ ბავშვს. გააკეთეთ რამე და სთხოვეთ, გაიმეორეს. დაუკარით ტაში. თუ ის გაიმეორებს და დაუკრავს ტაშს, უთხარით: „შენც შეგიძლია ტაშის დაკვრა“. ხელი მოკიდეთ თქვენს ცხვირს და გამოყავით ენა, უთხარით: „ახლა შენ გაიმეორე“. როდესაც ის რაიმე ახალს გაკეთებს, თქვენ გაიმეორეთ. ისულებლეთ და იმხიარულეთ.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

## პიროვნულ-სოციალური

თქვენს ბავშვს უყვარს ბურთის გამოგორება, თქვენთან „ჭიტას“ ან სხვა თამაში. მას სჭირდება იცოდეს, რომ თქვენ იქვე ხართ. უყვარს, როდესაც ყურადღების ცენტრშია. გამოხატავს დიდ სიყვარულს თქვენდამი. თუმცა ზოგჯერ, როცა რაიმეს არ უსრულებთ, აწყობს ტანტრუმს (მრისხანების შეტევას). ის ამყობს თავისი უნარებით და სურს, უფრო მეტი რამ გააკეთოს დამოუკიდებლად.

### მხიარული ქუდები

თქვენს ბავშვს შესაძლოა მოეწონოს ქუდების მორგება თავზე და სარკეში ყურება. გაუკეთეთ ყუთი, სადაც სხვადასხვა ქუდს ჩაუწყობთ. ასაკის მატებასთან ერთად დაამატეთ ქუდები.

### დამხმარე დამლაგებელი

თქვენს პატარას უკვე შეუძლია დაგეხმაროთ პატარა საქმეებში, მაგალითად მაგიდის გადაწმენდაში, საჭმლის მორევაში, გამოგვაში. მას მოეწონება თქვენთვის რაიმეს გაკეთება. მიეცით საშუალება, რომ იყოს თქვენი დამხმარე და უთხარით, რომ ის ძალიან გეხმარებათ.

### კბილების გამოხევა

მიეცით პატარას თავისი კბილის ჯაგრისი. ანახეთ, როგორ იხეხავთ კბილებს. ჯაგრისზე დაუდეთ ისეთი კბილის პასტა, რომლის გასინჯვაც შეიძლება (ფტორის გარეშე). ის ჯერ კბილების გამოხეხვას ვერ შეძლებს, უფრო შეჭამს კბილის პასტას და თქვენი გასახეხი გახდება. შეინახეთ ჯაგრისი სუფთა და უსაფრთხო ადგილას მომდევნო გამოყენებამდე.

### საყიდლებზე წასვლა

საყიდლებზე წასვლისას მოიხმარეთ თქვენი პატარა, დააჭერინეთ რაიმე პატარა ნივთი, ლიმონი ან პატარა ქილა. მიეცით საშუალება სალაროსთან თვითონ “გადაიხადოს”. როგორი დამხმარე გყავთ!

### მომძებნე

ითამაშეთ დამალობანა. ჯერ მხოლოდ კარების უკან დაიმალოთ და დაუძახეთ პატარას, შემდეგ თანდათან გამოჩნდით, რომ ბავშვმა ადვილად გიპოვოთ. შეგიძლიათ ამ თამაშში მისი და ან ძმა ჩართოთ. ეს თამაში ეხმარება გაიგოს, რომ როდესაც აღარ ჩანხართ, აუცილებლად დაბრუნდებით.

### ბავშვის დაბანა

როდესაც თქვენ პატარას აბანავებთ, მიეცით პატარა თოჯინა, რომ თვითონაც დაბანოს. აჩვენეთ, როგორ ნაზად უნდა მოეპყრას თოჯინას. ბოლოს გაამშრალეინეთ თოჯინა და მოაფერებინეთ. ეს მას სიყვარულს ასწავლის.

### დალაგების დრო

სთხოვეთ ბავშვს, დააღაგოს სათამაშოები და ყუთში ჩააღაგოს. შეგიძლიათ თავიდან ეს ერთად გააკეთოთ და გაერთოთ: „როგორ მეხმარები!“

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.